სახელმწიფო ინვესტიციები
(31.12.2024)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განხორციელებული და მიმდინარე სახელმწიფო საინვესტიციო-ინფრასტრუქტურული პროექტების ჯამურმა ღირებულებამ 495.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 18%-ით აღემატება.

სახელმწიფო ინვესტიციების ძირითადი ნაწილი მიმართულია საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე (30%), საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციასა (15%) და წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე (11%).

სახელმწიფო ინვესტიციების განაწილება სექტორების მიხედვით



სახელმწიფო საინვესტიციო-ინფრასტრუქტურული პროექტების ჯამური ღირებულების 92% მოდის საბიუჯეტო სისტემის სხვადასხვა დონის (სახელმწიფო, რესპუბლიკური, ადგილობრივი) ბიუჯეტებიდან გამოყოფილ ასიგნებებზე, ხოლო 8% - საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებსა და სხვა ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმებზე.

სახელმწიფო ინვესტიციების განაწილება დაფინანსების წყაროების მიხედვით



სახელმწიფო ინვესტიციები მუნიციპალიტეტების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: ბათუმი - 55%, ქობულეთი - 9%, ხელვაჩაური - 7%, ხულო - 6%, შუახევი - 5%, ქედა - 3%, ხოლო დანარჩენი 15% მოდის საერთო რეგიონულ პროექტებზე.

სახელმწიფო ინვესტიციების განაწილება თვითმმართველი ერთეულების მიხედვით